



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მამრიკიშვილი

1 თებერვალი 2022 წელი

N 6/36

ეგზ.: N 1

ფოთის მუნიციპალიტეტის 2019-2020
წლების საქმიანობის შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	შემაჯამებელი მიმოხილვა	3
	რეკომენდაციები	5
	1. შესავალი	7
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	7
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	7
	აუდიტის საგანი	7
	აუდიტის მასშტაბი	7
	აუდიტის კრიტერიუმები	8
	აუდიტის მიზანი	9
დანართები	აუდიტის მეთოდოლოგია	9
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	10
	2. აუდიტის მიგნებები	11
	დანართები	28
	საკონტაქტო ინფორმაცია	31

ტერმინები და შემოკლებები

ა(ა)იპ – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

მერია – თვითმმართველი ერთეული ფოთის მუნიციპალიტეტის მერია.

მუნიციპალიტეტი – თვითმმართველი ერთეული – ფოთის მუნიციპალიტეტი.

საკრებულო – თვითმმართველი ერთეული ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

სსიპ – საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

შემაჯამებელი მიმოხილვა

ფინანსური რესურსების მართვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ფოთის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

ფინანსური რესურსების მართვაში არსებული ნაკლოვანებები

მუნიციპალიტეტში არსებობს როგორც ფინანსური რესურსების, ასევე დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები. მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო არაფინანსური აქტივების ზრდის პარამეტრების სათანადოდ დაგეგმვა, რის გამოც შესაბამისი საბიუჯეტო მუხლის შესრულებას 2019-2020 წლებში, შესაბამისად, 18%¹ და 22%² დააკლდა. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა დააგროვა არსებითი მოცულობის თავისუფალი ნაშთი.³

ინფრასტრუქტურული პროექტები

სპორტული დარბაზის კაპიტალური შეკეთების დაუსრულებელი სამუშაოები

მუნიციპალიტეტის მერიას მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში შეუსრულებელი დარჩა სამუშაოების ნაწილი. გარდა ამისა, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს თანხა მიმწოდებელზე დაკისრებულია ნაწილობრივ. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა დაკარგა საბანკო გარანტიის შესაბამისი თანხის მიღების შესაძლებლობა.

სახლის გადახურვის დაუსრულებელი სამუშაოები

სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით, ქ. ფოთის მუნიციპალიტეტმა გამარტივებული შესყიდვის ფორმით ხელშეკრულება გააფორმა ისეთ მიმწოდებელთან, რომელსაც არ გააჩნდა სათანადო რესურსი. შედეგად, შესრულებული სამუშაოები არ შეესაბამება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

უხარისხოდ შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები

მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი კონტროლის მექანიზმი ვერ უზრუნველყოფს ხარისხიანი ინფრასტრუქტურული პროექტების მიღება-ჩაბარებას. არსებული მართვის სისუსტეების გამო, ინფრასტრუქტურული პროექტები დაზიანებულია და საბიუჯეტო სახსრები არაეფექტიანად იხარჯება.

იურიდიული პირების დაფინანსება

ა(ა)იპ-ების სუბსიდირების ნაკლოვანებები

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტმა დააფუძნა ისეთი იურიდიული პირები, რომელთა ფუნქციები დუბლირებულია სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოების საქმიანობასთან. ამასთანავე, მათ მიერ განხორციელებული რაიმე სახის აქტივობები დოკუმენტურად ვერ დასტურდება. შედეგად, იურიდიული პირების შექმნაში, დაფინანსებასა და კონტროლში არსებულმა მართვის სისუსტეებმა გამოიწვია საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანი ხარჯვა.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

სატრანსპორტო საშუალებებზე გამოყოფილი საწვავის ხარჯვის ხარვეზები

აუდიტის ობიექტს არ გააჩნია რაციონალური მიდგომა მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენებასა და საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებით. საწვავის ხარჯვის

¹ ვერ იქნა ათვისებული 1,333,705 ლარი.

² ვერ იქნა ათვისებული 2,467,457 ლარი.

³ 2019 წელს - 2,782.7 ათასი ლარი, 2020 წელს - 3,827.9 ათასი ლარი.

პროცესში არსებული კონტროლის სუსტი მექანიზმები წარმოშობს არასამსახურებრივი ავტომობილების საწვავით გამართვის რისკებს.

შიდა კონტროლის სისტემა

შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ნაკლოვანებები

შიდა აუდიტის სამსახურს სათანადოდ არ შეუსწავლია ორგანიზაციაში არსებული პროცესები და შიდა კონტროლის მექანიზმები, არ გამოუვლენია სისტემური ხასიათის რისკები და მათი აღმოფხვრის მიზნით, არ გაუცია სათანადო რეკომენდაციები. შიდა აუდიტის სამსახურმა ვერ უზრუნველყო მერიის საქმიანობის გაუმჯობესება, ფინანსების რაციონალური მართვისა და ორგანიზაციის ხარჯების ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობა.

რეკომენდაციები

ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერია:

- ფინანსური რესურსების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებები გამოიყენოს შესაბამისი წლის ბიუჯეტით დაგეგმილი პროგრამების/ქვეპროგრამების მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების მისაღწევად;
- ბიუჯეტი დაგეგმოს იმგვარად, რომ არ დაუშვას ნაშთის უკონტროლო დაგროვება და არსებული ნაშთი მიიმართოს ბიუჯეტით დაგეგმილი პროექტების განსახორციელებლად;
- შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღებისა და ჩაბარების წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სტანდარტების დაცვით სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. ნათლად უნდა განისაზღვროს კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული უზრუნველყოფს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებასა და პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას;
- შეისწავლოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების დაზიანების გამომწვევი მიზეზები, გაატაროს ღონისძიებები შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისა და საექსპერტო დაწესებულებების მიმართ და უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა;
- საკრებულოსთან ერთად შეისწავლოს დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობა და არსებული საკადრო პოლიტიკა; განსაზღვროს, რამდენად პასუხობს მათი საქმიანობა მუნიციპალიტეტის მიზნებსა და ამოცანებს. აგრეთვე მნიშვნელოვანია გაანალიზდეს ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და მათზე დახარჯული სახსრების შესაბამისობა. საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს თანამშრომელთა ფუნქციური დატვირთვა ან საშტატო ერთეულების ოპტიმიზაცია, რაც ხელს შეუწყობს საბიუჯეტო რესურსების ეკონომიურად და რაციონალურად ხარჯვას;
- უზრუნველყოს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის იმგვარი წარმართვა, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემების შესწავლასა და შეფასებას, ასევე პროცესებში არსებული რისკებისა და სისტემური ხარვეზების გამოვლენას. მიღებული შედეგების საფუძველზე, სამსახურმა შეიმუშაოს რეკომენდაციები და განახორციელოს მისი მუდმივი მონიტორინგი. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდას და საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.
- საწვავის არამიზნობრივად ხარჯვის პრევენციის მიზნით, მიზანშეწონილია, დანერგოს კონტროლის დამატებითი მექანიზმ(ებ)ი და შეიმუშაოს სათანადო პროცედურები, მათ შორის, ალტერნატიულ პროცედურად შესაძლოა განხილულ იქნეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ინვენტარიზაციისას უფლებამოსილი პირების მიერ დამონტაჟებული საწვავის „ჩიპების“ მთლიანობის შემოწმება; სამორიგეო ავტომობილების სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების მონიტორინგის მიზნით, კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, ასევე შესაძლოა განხილულ იქნეს

სატელიტური (GPS) ან სხვა სახის ელექტრონული კონტროლის სისტემის დანერგვა.

ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ:

- მერიასთან შეთანხმებით შეიმუშაოს წესი, რითაც დარეგულირდება სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო სამორიგეო ავტომანქანების რაოდენობა და განისაზღვრება საწვავის ხარჯვის კონტროლის მექანიზმები.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ფოთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მოიცავს აგრეთვე შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ – ფოთის მუნიციპალიტეტის აუდიტის საგანთან დაკავშირებული საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამოები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშესაბამოების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საქმიანობა.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ 2019-2020 წლებში განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. გარდამავალი ხელშეკრულებებიდან და წინა აუდიტით გამოვლენილ რისკის შემცველ საკითხებთან დაკავშირებით, შესწავლილ იქნა სხვა პერიოდის დოკუმენტაცია.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

-)/ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
-)/ საქართველოს კანონი საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
-)/ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „შრომის ანაზღაურების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის №99 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;
-)/ მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები.

აუდიტის მიზანი

- ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შეესაბამება აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. აუდიტის ანგარიშში, მათი გამოვლენის შემთხვევაში, აისახება ნებისმიერი საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად ან/და საჯარო სექტორში ერთგვაროვანი პრაქტიკის დასაწერად
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესახებ ინფორმაციის მოსამზადებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- აუდიტის ობიექტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და მონაცემთა ანალიზი;
- დოკუმენტური შემოწმება;
- ინტერვიუები აუდიტის ობიექტების თანამშრომლებთან;
- ადგილზე დათვალიერება.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც აქვს წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. თვითმმართველი ერთეულის ფართობია 69 კვ.კმ, მოსახლეობის რიცხოვნობა კი შეადგენს 41.5 ათასს.⁴ ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ფოთი.

2019-2020 წლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები დახარჯულია შემდეგ პროგრამებზე: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება – 8,600.4 ათასი ლარი,⁵ თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება⁶ – 97.6 ათასი ლარი, ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 21,500.9 ათასი ლარი,⁷ დასუფთავება და გარემოს დაცვა⁸ – 1,934.5 ათასი ლარი, განათლება – 6,661.8 ათასი ლარი, კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები – 7,005.9 ათასი ლარი, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – 4,274.7 ათასი ლარი.

⁴ www.geostat.ge; www.budgetmonitor.ge, 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

⁵ მათ შორის, 92.0 ათასი - ლარი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური, 2019 წელი.

⁶ 2019 წლის პროგრამა.

⁷ მათ შორის, 2,419.9 ათასი ლარი - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრის დაფინანსება, 2019 წელი.

⁸ 2020 წლის პროგრამა.

2. აუდიტის მიგნებები

2.1 ბიუჯეტის შესრულება და მართვა

2.1.1 ბიუჯეტის შესრულებისა და ფინანსური რესურსების მართვის ხარვეზები

კრიტერიუმი: ბიუჯეტის პროექტის მომზადების, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებისათვის პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.⁹

მუნიციპალიტეტმა 2019-2020 წლებში პროგრამული ბიუჯეტებით დაგეგმა შემდეგი შედეგების მიღწევა: საგზაო ინფრასტრუქტურის, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავებისა და ეზოების, პარკების, გარე განათების, სანიაღვრე სისტემების, ტროტუარების, სპორტული მოედნების მშენებლობა და სხვ.

შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში, საბიუჯეტო პროცესი უნდა წარმართოს იმგვარად, რომ თავიდან იქნეს აცილებული თავისუფალი ნაშთის¹⁰ უკონტროლო დაგროვება.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტების წლიურ ანგარიშებზე დაყრდნობით, შემოსულობებმა 2019-2020 წლებში – 51,827.4 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა 50,074.4 ათასი ლარი შეადგინა.

ინფორმაცია შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ წარმოდგენილია ცხრილში.

ცხრილი 1. შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება 2019-2020 წწ. (ათასი ლარი)

დასახელება	2019 წელი			2020 წელი			საკასო შესრულებების ჯამი
	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	შესრულების %	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	შესრულების %	
შემოსულობები	22,757.9	24,141.5	106%	26,515.9	27,685.9	104%	51,827.4
შემოსავლები	22,657.9	24,123.2	106%	25,970.4	27,137.3	104%	51,260.5
არაფინანსური აქტივების კლება	100.0	18.2	18% ¹¹	545.5	548.6	100%	566.9
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენების გარდა)	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების ზრდა	-	-	-	-	-	-	-
გადასახდელები	26,935.7	24,069.0	89%	30,704.6	26,005.4	84%	50,074.4
ხარჯები	19,229.0	17,696.1	92%	19,061.2	16,829.3	88%	34,525.7
არაფინანსური აქტივების ზრდა	7,539.8	6,206.1	82%	11,497.0	9,029.5	78%	15,235.7
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის დაგროვების გარდა)	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების კლება	166.9	166.8	100%	146.4	146.4	100%	313.1
ნაშთის ცვლილება	(-4,177.8)	72.4		(-4,188.7)	1,680.5		

2019-2020 წლებში მუნიციპალიტეტმა „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი არასათანადოდ შეასრულა. კერძოდ, მერიამ ინფრასტრუქტურული

⁹ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 7, პუნქტი 1; მუხლი 77, პუნქტები: 8 და 9; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“.

¹⁰ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, თავისუფალი ნაშთი არის ნაშთის ის ნაწილი, რომელიც არ არის გათვალისწინებული რაიმე მიზნებისათვის, მე-6 მუხლი, “ყ” ქვეპუნქტი.

¹¹ ვერ მოხერხდა აუქციონზე გატანილი ძირითადი აქტივების გაყიდვა.

პროექტების განსახორციელებლად წლის ბოლომდე ვერ აითვისა ადგილობრივი ბიუჯეტიდან და საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხები. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო პროგრამით გათვალისწინებული მოსალოდნელი შედეგები: ძირითადად, ვერ დასრულდა და დაგვიანდა საგზაო ინფრასტრუქტურის, სპორტული ობიექტების, საბავშვო ბაღების, საჯარო სკოლებისა და სხვა ობიექტების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტი ფლობდა მნიშვნელოვანი მოცულობის საბიუჯეტო ნაშთებს. კერძოდ, 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს ანგარიშზე ნაშთის სახით ერიცხებოდა 4,351.2 ათასი ლარი. 2019 წელს დაიგეგმა 4,177.8 ათასი ლარის ხარჯვა,¹² თუმცა წლის განმავლობაში ნაშთის დაგროვებამ 72.4 ათასი ლარი შეადგინა. შესაბამისად, პერიოდის ბოლოს დაფიქსირდა 4,423.6 ათასი ლარის ნაშთი, საიდანაც 2,782.7 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია.

2020 წელს მუნიციპალიტეტმა დაგეგმა ნაშთის გამოყენება 4,188.7 ათასი ლარის ოდენობით,¹³ მაგრამ წინა წლის მსგავსად დააგროვა 1,680.5 ათასი ლარი, შესაბამისად, წლის ბოლოსათვის საბიუჯეტო ნაშთმა 6,104.1 ათასი ლარი შეადგინა, საიდანაც 3,827.9 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა 2019-2020 წლებში ვერ უზრუნველყო ბიუჯეტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დროულად განხორციელება და, ამასთანავე, დააგროვა არსებითი მოცულობის ნაშთი (მათ შორის, თავისუფალი ნაშთი). აღნიშნული მიუთითებს მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვაზე.

რეკომენდაცია N1

ფინანსური რესურსების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, მუნიციპალიტეტის მერიამ ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებები გამოიყენოს შესაბამისი წლის ბიუჯეტით დაგეგმილი პროგრამების/ქვეპროგრამების მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების მისაღწევად. ამასთანავე, ბიუჯეტი დაგეგმოს იმგვარად, რომ არ დაუშვას ნაშთის უკონტროლო დაგროვება და არსებული ნაშთი მიიმართოს ბიუჯეტით დაგეგმილი პროექტების განსახორციელებლად.

2.2 ინფრასტრუქტურული პროექტები

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობით,¹⁴ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე ვალდებულია წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოებო ღირებულება აღემატება 200.0 ათას ლარს. ამასთანავე, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაზრდისას მიმწოდებელი ვალდებულია, შესაბამისად გაზარდოს საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი არ შეასრულებს ხელშეკრულების პირობებს, მუნიციპალიტეტი ვალდებულია მოითხოვოს საბანკო გარანტიის თანხის ანაზღაურება. საბანკო გარანტიის

¹² დანარჩენი თანხა - 173.4 ათასი ლარი იყო მიღებული ტრანსფერებიდან აუთვისებელი თანხა, რომელიც გადაირიცხა სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე.

¹³ დანარჩენი თანხა - 234.9 ათასი ლარი იყო მიღებული ტრანსფერებიდან აუთვისებელი თანხა, რომელიც გადაირიცხა სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე.

¹⁴ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 21, ქვეპუნქტი 3¹.

2.2.1 სპორტული დარბაზის კაპიტალური შეკეთების დაუსრულებელი სამუშაოები

მოთხოვნა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს შესაბამისი საჯარიმო სანქციების გავრცელებისგან.

მუნიციპალიტეტი ხელშეკრულებების გაფორმებისას, როგორც წესი, ადგენს საჯარიმო სანქციებს პირობების დარღვევის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის.

გადაუდებელი აუცილებლობის დადგომისას, შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული ფორმით. არსებული პრაქტიკით, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი თვითონ ირჩევს მიმწოდებელს, რა დროსაც უნდა გაითვალისწინოს მისი კვალიფიკაცია, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სამუშაოს შესრულების უნარი და სხვ.

ფაქტობრივი გარემოება: 2019 წელს მუნიციპალიტეტმა შეისყიდა ქ. ფოთში, ნინო ჟვანიას ქუჩაზე მდებარე სპორტული დარბაზის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები,¹⁵ ღირებულებით 345.2 ათასი ლარი, რომელიც უნდა დასრულებულიყო 2020 წლის 16 აპრილს.

მშენებლობის პროცესში სამუშაოების შესრულების ვადა გაგრძელდა 2-ჯერ და საბოლოო ვადად განისაზღვრა 2020 წლის 19 ივნისი. ვადის გაგრძელების მიზეზად ორივე შემთხვევაში დაფიქსირებულია კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეული შეზღუდვები. სამუშაოები 2021 წლის ნოემბრის მდგომარეობითაც (გასულია 15 თვეზე მეტი) დაუსრულებელია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით ირკვევა, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში¹⁶ შეასრულა მხოლოდ 248.9 ათასი ლარის სამუშაო. აქედან, 44.7 ათასი ლარის სამუშაოები მუნიციპალიტეტმა არ ჩაიბარა, რადგან არ იყო გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვით.¹⁷ ამასთანავე, გეგმა-გრაფიკის დარღვევისათვის მიმწოდებელს დაერიცხა პირგასამტეხლო 11.4 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც არ არის გადახდილი და მიმდინარეობს სასამართლო დავა.

აღსანიშნავია, რომ სამუშაო პროცესის ზედამხედველობას მუნიციპალიტეტის დაკვეთით აწარმოებდა შპს „თი აი ეი ჯი აუდიტესკორტი“,¹⁸ რომელსაც შესრულებული სამუშაოების ხარისხისა და მოცულობის დადასტურებასთან ერთად ევალუბოდა ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის კონტროლი. შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში, ზედამხედველ კომპანიას დაუყოვნებლივ უნდა ეცნობებინა მერიისათვის, ხოლო მშენებლისათვის განესაზღვრა გონივრული ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად ან შეეჩერებინა მიმდინარე სამუშაოები. მიუხედავად ამისა, მიმწოდებლის მიერ ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი სამუშაოების შესრულებისას ზედამხედველს არსებული ბერკეტები არ გამოუყენებია. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ზედამხედველი კომპანიის მიერ თავისი ფუნქცია-მოვალეობების არასათანადო შესრულებისათვის, მერიას შესაბამისი ღონისძიებები არ გაუტარებია.

¹⁵ მიმწოდებელი „შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა მშენებლობის კასპიისპირეთის სამმართველო“, ხელშეკრულება №182, NAT190018655. ღირებულება - 345.2 ათასი ლარი. 15.11.2019 წელი.

¹⁶ 2020 წლის 19 ივნისამდე პერიოდი.

¹⁷ ტრიბუნის დამონტაჟებისას გამოყენებულია პროექტთან შეუსაბამო ლითონის კონსტრუქციები, საღებავი და სხვა თანმდევი სამუშაოები.

¹⁸ NAT 170007702. შპს „თი აი ეი ჯი აუდიტესკორტი“.

აღსანიშნავია, რომ ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის სანქციების დაკისრების პროცესი მუნიციპალიტეტმა წარმართა მნიშვნელოვანი ხარვეზებით, კერძოდ:

- ✓ არ არის დარიცხული ხელშეკრულებით განსაზღვრული, შეუსრულებელი ვალდებულების 5%, რაც 7.6 ათასი ლარი¹⁹ შეადგენს;
- ✓ არ არის დაკავებული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საგარანტიო თანხა – 17.3 ათასი ლარი, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრებოდა 2020 წლის 24 აგვისტომდე. შედეგად, მუნიციპალიტეტმა დაკარგა ამ თანხის მიღების შესაძლებლობა.

დასკვნა

ფოთის მუნიციპალიტეტის მერიასა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, შეუსრულებელი დარჩა 151.2 ათასი ლარის სამუშაო. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო კუთნილი 24.9 ათასი ლარი²⁰ დაურიცხავი ჯარიმისა და გამოუყენებელი საბანკო გარანტიის სახით. ამასთანავე, მუნიციპალიტეტს სამუშაოებზე ზედამხედველი კომპანიის მიმართ ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების არასრულყოფილად შესრულების გამო შესაბამისი ღონისძიებები არ გაუტარებია.

2.2.2 სახლის გადახურვის დაუსრულებელი სამუშაოები

ფაქტობრივი გარემოება: 2020 წელს მუნიციპალიტეტმა, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით,²¹ გამარტივებული ფორმით შეისყიდა ქ. ფოთში, ჭანტურიას ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები,²² რომლებიც უნდა დასრულებულიყო 2020 წლის 31 დეკემბრს, თუმცა ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებით სამუშაოების დასრულების ვადა გაგრძელდა 2021 წლის 30 იანვრამდე.²³

სამუშაოების მიმდინარეობისას, სამშენებლო პროცესზე ზედამხედველმა კომპანიამ 2021 წლის 27 იანვარს აცნობა მუნიციპალიტეტს, რომ მიმწოდებელი სამუშაოებს აწარმოებდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეუსაბამოდ. კერძოდ, შპს „ტოტალი“ გადახურვას ახორციელებდა სახლზე არსებული რკინა-ბეტონის ფილების დემონტაჟისა და გადახურვის ფილის მოწყობის გარეშე, რაც არსებითად განსხვავდებოდა პროექტით განსაზღვრული სამუშაოებისაგან.

მერიის პასუხისმგებელი პირის განმარტებით, არსებული მდგომარეობა გამოიწვია იმან, რომ მიმწოდებელმა ვერ უზრუნველყო სამუშაოების შესრულება, ვინაიდან მას არ გააჩნდა ბეტონის ფილების დემონტაჟისათვის საჭირო აშწ მექანიზმები. აღნიშნული არგუმენტი ვერ იქნება მისაღები, რადგამ მუნიციპალიტეტმა თავად შეარჩია კომპანია. შესაბამისად, უნდა შეერჩია სათანადო კვალიფიკაციისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფილი მიმწოდებელი.

¹⁹ $345.2 - 194.0 = 151.2 \times 5\% = 7.6$ ათასი ლარი.

²⁰ 7.6 ათასი ლარი შეადგენს ჯარიმის თანხას, ხოლო 17.3 ათასი ლარი არის საგარანტიო თანხა.

²¹ გადაუდებელი აუცილებლობა წარმოიშვა საცხოვრებელი სახლის ბეტონის სახურავის ჩანგრევით, რის გამოც ზიანი ადგებოდა მოსახლეობას.

²² მიმწოდებელი შპს „ტოტალი“, ხელშეკრულება №238, CMR200138637. ღირებულება - 136.9 ათასი ლარი.

²³ ვადის დამატების მიზეზად დასახელებულია მეტეოროლოგიური პირობები და 2021 წლის იანვარში გამოცხადებული უქმე დღეები.

დასკვნა

სამუშაოების შემადგენლობის მნიშვნელოვანი ცვლილების მიუხედავად, მუნიციპალიტეტმა სათანადო ღონისძიებები არ გაატარა და არ უმსჯელია პროექტის გაგრძელების მიზანშეწონილობაზე. მიმწოდებელს ხელშეკრულების მოქმედების ვადა ორჯერ – 31 მასამდე გაუგრძელდა.²⁴ წარმოდგენილი ინფორმაციით, სამუშაოები დასრულდა, თუმცა მუნიციპალიტეტმა არ ჩაიბარა, რადგან შესრულებული იყო პროექტის დარღვევით.

სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული ფორმით შესყიდვისას, მუნიციპალიტეტმა არ გაითვალისწინა სამუშაოების სპეციფიკა და სირთულე, არ ჩაატარა სათანადო კვლევა და ვერ შეარჩია მიმწოდებელი, რომელსაც ექნებოდა სამუშაოების შესასრულებლად საჭირო აუცილებელი კვალიფიკაცია და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი. შედეგად, შესრულებული სამუშაოები არ შეესაბამება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს და მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო შესყიდვით დაგეგმილი შედეგი.

2.3

ინფრასტრუქტურული პროექტების მართვა

2.3.1 ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობაში არსებული ხარვეზები

კრიტერიუმი: ინფრასტრუქტურული პროექტებით გრძელვადიან პერიოდში სარგებლობა დამოკიდებულია შესრულებული სამუშაოების ხარისხზე. ამ მიზნით, მუნიციპალიტეტი ვალდებულია ჩაიბაროს ხარისხიანი სამუშაოები, რომლებიც შეესაბამება სამშენებლო ნორმებითა და სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. პრაქტიკიდან გამომდინარე აღნიშნულის უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტს შეუძლია როგორც შიდა კონტროლის სისტემის გამართვით, ასევე სამუშაოების ხარისხზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარებით. ხელშეკრულების თანახმად, შესრულებული სამუშაოების სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის საგარანტიო ვადა შეადგენს სამ წელს, რომლის განმავლობაში, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.²⁵

ფაქტობრივი გარემოება 1: 2017 წელს ფოთის მუნიციპალიტეტმა მალთაყვის უბანში სანაპირო ზოლის მეორე ეტაპის რეაბილიტაციის სამუშაოებზე ხელშეკრულება გაუფორმა ფილიალს/წარმომადგენლობა „ანტ სტროი ლტდ 2016“-ს, ღირებულებით 3,836.2 ათასი ლარი.²⁶ პროექტი ითვალისწინებდა მალთაყვის სანაპირო ზოლზე გზისა და ბულვარის განათების, კაფე-სანაყინების, ხიდების, საჩრდილობლების, სათვალთვალო კომპლექსების, საშხაპეების, სკუტერების მისადგომის და სხვა კეთილმოწყობის სამუშაოებს. ხელშეკრულების პირობების მიხედვით, სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2018 წლის 28 სექტემბერს. ხელშეკრულებაში შესული ცვლილებით, სამუშაოების დასრულების ვადა გაიზარდა 2018 წლის 28 დეკემბერამდე. ვადის გადაწევის მიზეზად დასახელებულია ხარჯთაღრიცხვის კორექტირების საჭიროება.

მიმწოდებელმა პროექტის დასრულება ვერ შეძლო. ხელშეკრულებით გათვალისწინებული 3,836.2 ათასი ლარის სამუშაოდან შეასრულა მხოლოდ

²⁴ მუნიციპალიტეტის მიერ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების მიზეზი არ არის განმარტებული.

²⁵ მუნიციპალიტეტსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობები.

²⁶ NAT 170004480, ხელშეკრულება № 84.

2,026.7 ათასი ლარის სამუშაო,²⁷ რის გამოც 2019 წლის 25 იანვარს შეუწყდა ხელშეკრულება.

ხელშეკრულების პირობების მიხედვით, სამუშაოების მიღება-ჩაბარებისთვის აუცილებელი იყო ექსპერტიზის დადებითი დასკვნის წარმოდგენა,²⁸ რომელსაც უნდა დაედასტურებინა შესრულებული სამუშაოების მოცულობა და ხარისხი. პროექტის მიმდინარეობის შემოწმება ასევე ევალებოდა მუნიციპალიტეტში შექმნილ ინსპექტირების ჯგუფს. დოკუმენტაციის შესწავლით ირკვევა, რომ 469.8 ათასი ლარის სამუშაოებზე არ არის წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა.²⁹ მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოების მოცულობა და ხარისხი ექსპერტიზის მიერ შემოწმებული და დადასტურებული არ იყო, მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულების პირობების დარღვევით, ჩაიბარა და მიმწოდებელს აუნაზღაურა ფორმა №2-ში წარმოდგენილი სამუშაოების ღირებულება.³⁰

აუდიტის ჯგუფმა ადგილზე დაათვალიერა მალთაყვის სანაპირო ზოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები. დათვალიერებით გამოვლინდა, რომ სამუშაოები შესრულებულია უხარისხოდ, უმეტესობა მნიშვნელოვნად არის დაზიანებული. პროექტი დაუსრულებელია, უფუნქციოა, რადგან შეუძლებელია მისი დანიშნულებით გამოყენება.³¹

აღნიშნული სამუშაოები მუნიციპალიტეტის მიერ ჩაბარებულია სრულად. სამუშაოების მოცულობები და ხარისხი, გარდა 469.8 ათასი ლარის სამუშაოებისა, დადასტურებულია შპს „თი აი ეი ჯი აუდიტესკორტის“ დასკვნით. მიუხედავად ამისა, პროექტი შესრულებულია უხარისხოდ. ხელშეკრულების პირობების მიხედვით, უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების გამოვლენა საზედამხედველო კომპანიის ვალდებულება იყო. მუნიციპალიტეტს აღნიშნული ორგანიზაციის პასუხისმგებლობის შესახებ არ უმსჯელია და სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია. გარდა საზედამხედველო კომპანიისა, პროექტის მიმდინარეობის შემოწმება და კონტროლი ევალებოდა მუნიციპალიტეტში შექმნილ ინსპექტირების ჯგუფს. ხარვეზები ინსპექტირების ჯგუფის მიერ არ არის გამოვლენილი.

შესწავლით ირკვევა, რომ მიმწოდებელი დროულად ვერ ასრულებდა სამუშაოებს და მუდმივად არღვევდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ გეგმა-გრაფიკს. მუნიციპალიტეტმა მხოლოდ ერთხელ, 2018 წლის 11 ივლისს დააკისრა ჯარიმა 17.5 ათასი ლარის ოდენობით,³² ხოლო შემდეგ შეუწყვიტა

²⁷ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების 52%.

²⁸ ხელშეკრულებით განსაზღვრული იყო სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის წარმოდგენა. 2017 წლის ოქტომბრიდან საექსპერტო კომპანია შეიცვალა და ექსპერტიზა დაევალა ტენდერში გამარჯვებულ კომპანია შპს „თი აი ეი აუდიტესკორტს“.

²⁹ მუნიციპალიტეტმა ექსპერტის დასკვნის გარეშე 2017 წლის 9 აგვისტოს ჩაიბარა - 208.0 ათასი ლარის, ხოლო 2017 წლის 5 სექტემბერს - 261.8 ათასი ლარის სამუშაოები.

³⁰ 469.8 ათასი ლარი.

³¹ სანაპირო ზოლზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებში არ არის მოწყობილი ჭერი, იატაკი, შიდა კომუნიკაციები, კარი ჩამოვარდნილი და დაზიანებულია, დამსხვრეულია ფანჯრის მინები. რამდენიმე ადგილას დამტვრეულია შენობის სახურავი. დაზიანებულია განათების ბოძები, ხოლო გაყვანილობა ჩამოყრილია. არ არის მოწყობილი ბულვარის სასეირნო ზოლი, ტროტუარზე ბეტონის ფილები ამოყრილია, დაზიანებულია ტროტუარის გვერდულები. ტერასაზე დაგებული ბეტონის გზა ბევრ ადგილას დაზარალებულია. საყვავილეებზე გრანიტის ფილები, ძირითადად, ჩამოყრილი, დაზიანებული და გატეხილია, ხოლო უმეტესი ნაწილი არ არის მოპირკეთებული.

³² ხელშეკრულების პირობების თანახმად, გეგმა-გრაფიკის დარღვევისათვის გათვალისწინებული იყო საჯარიმო სანქცია, შეუსრულებელი ვალდებულებების 0.02%-ით.

ჯარიმის დარიცხვა და დაკისრებული თანხის გადახდაც არ მოსთხოვა,³³ ამასთანავე, გაუზარდა სამუშაოების დასრულების ვადები. მუნიციპალიტეტი იმ პირობებში, როდესაც მიმწოდებელი სათანადოდ არ ასრულებდა ხელშეკრულების მოთხოვნებს და ჰქონდა მნიშვნელოვანი ვადაგადაცილებები, შესაბამისი რეაგირების ნაცვლად, არაობიექტურად ზრდიდა სამუშაოების შესრულების ვადებს და არ იყენებდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ საჯარიმო სანქციას. მიმწოდებელს მხოლოდ სამუშაოების დროულად დაუსრულებლობის გამო დაეკისრა ჯარიმა 10.0 ათასი ლარის ოდენობით, რაც აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში გადახდილი არ იყო.³⁴

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა სათანადოდ არ გააკონტროლა სამუშაოების შესრულებისა და მიღება-ჩაბარების პროცესი. არასათანადო მართვის შედეგად შესრულებული სამუშაოები უხარისხოა, ინფრასტრუქტურული პროექტი დაუსრულებელია, უფუნქციოა და საბიუჯეტო სახსრები დახარჯულია არაეფექტიანად. ამასთანავე, დაუსრულებელი და დაზიანებული ობიექტების რეაბილიტაცია საჭიროებს დამატებით სახსრებს. აღნიშნული გარემოებებისა და მიწოდების ვადების სათანადო არგუმენტაციის გარეშე გაზრდით არსებობს რისკი, რომ მუნიციპალიტეტს კონკრეტული მიმწოდებლების მიმართ გააჩნდა სუბიექტური მიდგომა.

ფაქტობრივი გარემოება 2: 2019 წელს ფოთის მუნიციპალიტეტმა შპს „იმედთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში შეისყიდა ქ. ფოთის ვალერიან გუნიაშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრის შენობის რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით – 774.8 ათასი ლარი.³⁵ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებდნენ შპს „თი აი ეი ჯი აუდიტესკორტის“ წარმომადგენლები.

ექსპერტის მიერ წარმოდგენილი დასკვნით ირკვევა, რომ დადასტურებულია შპს „იმედის“ მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობა, ღირებულება და ხარისხი. აღნიშნული ასევე დაადასტურა მუნიციპალიტეტში შექმნილმა სამუშაოს მიმდებმა ჯგუფმა, რის საფუძველზეც მიმწოდებელს აუნაზღაურდა ფორმა №2-ში წარმოდგენილი სამუშაოების ღირებულება.³⁶

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, აუდიტის ჯგუფმა დაათვალიერა აღნიშნული პროექტი.³⁷ გამოვლინდა, რომ შესრულებული სამუშაოები დაზიანებულია, კერძოდ: რეაბილიტირებული შენობის შიდა სივრცეში კედლებზე, ჭერსა და იატაკზე აღინიშნება მრავალი დაზიანება, ჩამოცვენილია მოწყობილი გრანიტის ფილების ნაწილი.

გარდა აღნიშნული შემთხვევისა, დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ 9 ხელშეკრულების ფარგლებში დაზიანებულია 2019-2020 წელს

³³ მიღებული გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის მიერ არ არის დასაბუთებული.

³⁴ მიმწოდებელთან მიმდინარეობს სასამართლო დავა. გარდა ჯარიმისა, მუნიციპალიტეტმა მოითხოვა ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია 191.8 ათასი ლარი. თანხა ანაზღაურებულია სრულად.

³⁵ NAT190004326, ხელშეკრულება №70.

³⁶ 774.8 ათასი ლარი.

³⁷ 2021 წლის 16 ნოემბერი.

შესრულებული 830.5 ათასი ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული სამუშაოების ნაწილი (იხ. დანართი №1).

აღნიშნული სამუშაოები მუნიციპალიტეტს ჩაბარებული აქვს სრულად. სამუშაოების მოცულობები და ხარისხი დადასტურებულია შპს „თი აი ეი ჯი აუდიტესკორტის“ დასკვნით. მიუხედავად იმისა, რომ შესრულებული სამუშაოების ხარისხი დადასტურებულია ექსპერტიზით, აუდიტის ჯგუფის მიერ დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ ობიექტები დაზიანებულია და საჭიროებს დამატებით რეაბილიტაციას. ობიექტების ექსპლოატაციის პროცესში გამოვლენილი დაზიანებები, ძირითადად, რეაბილიტაციის მიმდინარეობისას მოქმედი სამშენებლო წესებისა და ნორმების დარღვევის შედეგია, რომლის გამოვლენაც საზედამხედველო და საექსპერტო დაწესებულებების ვალდებულება იყო. დაზიანებული ობიექტების არსებობის მიუხედავად, მუნიციპალიტეტს აღნიშნული ორგანიზაციების პასუხისმგებლობის შესახებ არ უმსჯელია და სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია.

აღსანიშნავია, რომ დათვალიერების მომენტისათვის ინფრასტრუქტურულ პროექტებს ჰქონდათ მოქმედი საგარანტიო ვადა, რომლის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებული იყო საკუთარი ხარჯებით გამოსწორებინა ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზები, მაგრამ მუნიციპალიტეტს მიმწოდებლებისთვის ხარვეზების გამოსწორების მოთხოვნით არ მიუმართავს.³⁸

დასკვნა

მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი კონტროლის მექანიზმი ვერ უზრუნველყოფს ხარისხიანი ინფრასტრუქტურული პროექტების მიღება-ჩაბარებას და პროექტების მდგომარეობის შესახებ მერიის დროულ ინფორმირებას. სამუშაოების მონიტორინგის, მიღება-ჩაბარების და საგარანტიო ვადის ეტაპზე არსებული მართვის სისუსტეების გამო, დაზიანებულია ინფრასტრუქტურული პროექტები. მუნიციპალიტეტმა არ დაადგინა დაზიანების გამომწვევი მიზეზები, არ გამოავლინა საგარანტიო პერიოდში პროექტების კონტროლზე პასუხისმგებელი პირები და ზარალის ანაზღაურების მიზნით, მათ მიმართ არ გაატარა შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაცია N2

მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღებისა და ჩაბარების წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სტანდარტების დაცვით სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. ნათლად უნდა განისაზღვროს, კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული უზრუნველყოს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებასა და პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების დაზიანების გამომწვევი მიზეზები, გაატაროს ღონისძიებები შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისა და საექსპერტო დაწესებულებების მიმართ და უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა.

³⁸ აუდიტის მიმდინარეობისას, მუნიციპალიტეტმა სამ შემთხვევაში მიმართა მიმწოდებელს საგარანტიო ვადაში ხარვეზების გამოსწორების მოთხოვნით. პასუხისმგებელი პირის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, ხარვეზები გამოსწორებულია.

2.3.2 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაში არსებული ხარვეზი

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტმა უნდა დანერგოს მართვისა და კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეფექტიანად გამოყენებას.³⁹

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის ძირითადი მიზანია განისაზღვროს იმ ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის საჭირო სამუშაოები, რომელთა წარმატებით განხორციელების შედეგად მოსახლეობას დროულად მიეწოდება ხარისხიანი მუნიციპალური სერვისები. თუ საბიუჯეტო ორგანიზაცია შეისყიდის მხოლოდ საპროექტო მომსახურებას და შემდეგ არ დაგეგმავს პროექტის შესაბამის ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, გადახდილი თანხები ჩაითვლება არაეფექტიან ხარჯად.

ფაქტობრივი გარემოება: 2019-2020 წლებში მუნიციპალიტეტმა შეისყიდა 4 ინფრასტრუქტურული ობიექტის სარეაბილიტაციოდ განკუთვნილი პროექტი, საერთო ღირებულებით – 47.3 ათასი ლარი. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 5,130.1 ათას ლარს, კერძოდ:

-)/ ქ. ფოთში მდინარე კაპარჭის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი სანიჰოზონო ინფრასტრუქტურის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 3,755.5 ათას ლარს;⁴⁰
-)/ მერის წარმომადგენლების ადმინისტრაციული შენობების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 1,083.2 ათას ლარს;⁴¹
-)/ ყოფილი პოლიციის შენობის სარემონტო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 203.9 ათას ლარს;⁴²
-)/ ორმული შეკეთების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. პროექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 87.5 ათას ლარს.⁴³

წარმოდგენილი ინფორმაციით, მუნიციპალიტეტმა აღნიშნული საპროექტო დოკუმენტაცია არ გამოიყენა და შესაბამისი ინფრასტრუქტურული პროექტები არ განახორციელა. მუნიციპალიტეტს უნდა განესაზღვრა პროექტის რეალური საჭიროება, სავარაუდო ღირებულება, დაფინანსების წყარო და მხოლოდ ამის შემდეგ განეხორციელებინა საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის პროცედურები. არსებობს რისკი, რომ დროთა განმავლობაში საქონლის საბაზრო ღირებულებისა და, შესაბამისად, ერთეული ფასების ცვლილების გამო, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია გახდეს მოქმედ ფასებთან შეუსაბამო და კორექტირებისათვის საბიუჯეტო თანხები დამატებით დაიხარჯოს.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, პროექტების გამოუყენებლობის მიზეზია არასაკმარისი ფინანსური რესურსი და არშემდგარი ტენდერი. აღნიშნული არგუმენტი ვერ იქნება მისაღები, ვინაიდან მუნიციპალიტეტს, როგორც 2019 წელს, ისე 2020 წლის ბოლოს ანგარიშებზე ერიცხებოდა არსებითი მოცულობის

³⁹საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი პირველი, „გ“ ქვეპუნქტი.

⁴⁰ NAT190013296

⁴¹ NAT190020808

⁴² NAT180012115

⁴³ NAT180012117.

ნაშთები, რომლის გამოყენება შეეძლო აღნიშნული პროექტების განსახორციელებლად.

დასკვნა

მუნიციპალიტეტს შესყიდული და გამოყენებული აქვს 47.3 ათასი ლარის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლითაც დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები, საერთო ღირებულებით – 5,130.1 ათასი ლარი, არ განხორციელებულა. შედეგად, პროექტების შესაძენად გადახდილი თანხა არაეფექტიანი ხარჯია.

2.4 სუბსიდიები

2.4.1 იურიდიული პირების დაფინანსების ხარვეზები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტს თავისი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით, უფლება აქვს, დააფუძნოს ა(ა)იპ/შპს, რომელიც ორგანიზებას გაუწევს მისი უფლებამოსილების სფეროში განსახორციელებელ ერთობლივ ღონისძიებებს.⁴⁴ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, დაწესებულების ხელმძღვანელმა ორგანიზაციაში და მის დაქვემდებარებულ ყველა ერთეულში უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ფულადი სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.⁴⁵

ფაქტობრივი გარემოება: 2019-2020 წლებში მუნიციპალიტეტის სუბსიდიის ხარჯმა შეადგინა 13,032.3 ათასი ლარი, რაც ამ პერიოდის მთლიანი გადასახდელების 31%-ს შეადგენს. კერძოდ, 2019 წელს მერიამ 16 იურიდიული პირის დაფინანსებაზე – 6,312.8 ათასი ლარი, ხოლო 2020 წელს 17 იურიდიული პირის⁴⁶ დაფინანსებაზე 6,719.5 ათასი ლარი დახარჯა.

დაფუძნებული სუბიექტების ფუნქციონირების პროცესის შესწავლით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო იურიდიული პირების ეფექტიანი მართვა, რის გამოც მათ საქმიანობაში გამოვლინდა ორგანიზაციული სახის ხარვეზები, კერძოდ:

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ფოთის მუნიციპალიტეტში ჩატარებული წინა პერიოდის აუდიტის ანგარიშში დაფიქსირდა ტურიზმისა და სოციალური მიმართულების ა(ა)იპ-ების საქმიანობის მართვის ხარვეზები, რაც გამოიხატებოდა მათი ფუნქცია-მოვალეობების დუბლირებით მუნიციპალურ და სახელმწიფო სამსახურებთან. დაფიქსირებულ გარემოებებზე რეაგირების მიზნით, 2019 წელს მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება სპორტული და ტურისტული, ასევე სოციალური პროფილის ა(ა)იპ-ების გაერთიანების შესახებ. პროცესის შესწავლით გამოვლინდა, რომ ჩატარებული აქტივობები მეტწილად ატარებდა ფორმალურ ხასიათს და არ იყო მიმართული მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ, რადგან ლიკვიდირებული ორგანიზაციები იმავე ფუნქცია-მოვალეობებით, საშტატო რიცხოვნობითა და ხარჯით შეუერთეს სხვა მოქმედ ა(ა)იპ-ებს. შედეგად, მუნიციპალიტეტმა სათანადო არგუმენტებით ვერ დაასაბუთა, რა სარგებელი მიიღო ა(ა)იპ-ების რეორგანიზაციით.

ამასთანავე, წარმოდგენილი ინფორმაციით, 2020 წელს წინა წელთან შედარებით ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 85-ით და

⁴⁴ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 20, პუნქტები: 1 და 2.

⁴⁵ საქართველოს კანონი „სახელმწიფოს შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ.“

⁴⁶ 2020 წელს დაფუძნდა ა(ა)იპ - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მელიორაცია.

შეადგინა 1254 ერთეული, ხოლო დაფინანსება გაიზარდა 406.6 ათასი ლარით, მაგალითად;

- J) 2019 წლის სექტემბერში, მუნიციპალიტეტმა სპორტისა და ტურიზმის სფეროს ა(ა)იპ-ების გაერთიანების შედეგად, დააფუძნა ა(ა)იპ – ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ტურიზმის ცენტრი. აუდიტის ჯგუფმა მოითხოვა ინფორმაცია და დოკუმენტური მასალები ა(ა)იპ-ის მიერ 2019-2020 წლებში გაწეული საქმიანობის შესახებ. შედეგად გაირკვა, რომ აღნიშნული ცენტრის ტურიზმის განყოფილებას აღნიშნულ პერიოდში არც ერთი ღონისძიება არ ჩატარებია.⁴⁷

2019-2020 წლებში ტურიზმის ცენტრზე დაიხარჯა 281.5 ათასი ლარი,⁴⁸ რაც მთლიანად მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებას შეადგენს. ამასთანავე, 2020 წელს, წინა წელთან შედარებით დასაქმებულთა რაოდენობა – 7 ერთეულით, ხოლო ხარჯები 22.2 ათასი ლარით გაიზარდა.

- J) 2019 წელს მუნიციპალიტეტმა, ა(ა)იპ – ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური კვლევის ცენტრისა⁴⁹ და ა(ა)იპ – სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის⁵⁰ გაერთიანებით დააფუძნა ა(ა)იპ – ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების ცენტრი. ამასთანავე, 2020 წელს ა(ა)იპ-ში დასაქმებულთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 5 ერთეულით, ხოლო ხარჯები – 203.0 ათასი ლარით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ა(ა)იპ-ის წლიურმა ხარჯებმა შეადგინა 818.7 ათასი ლარი, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობამ – 83 ერთეული.

2020 წელს მიღებული 818.7 ათასი ლარიდან, უფასო სასადილოში კვებით უზრუნველყოფაზე ა(ა)იპ-ს დახარჯული აქვს 268.4 ათასი ლარი (33%). დანარჩენი 550.3 ათასი ლარით დაფინანსებულია წესდებით განსაზღვრული სხვა საქმიანობა. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტმა ა(ა)იპ-ის მიერ 2019-2020 წლებში გაწეული სხვა საქმიანობის დასადასტურებლად რაიმე სახის დოკუმენტური მტკიცებულებები ვერ წარმოადგინა. გარდა ამისა, პროცესის შესწავლით ირკვევა, რომ ზოგიერთი მიმართულება შინაარსობრივად დუბლირებულია სხვადასხვა სახელმწიფო და მუნიციპალური სამსახურების ფუნქციასთან, მაგალითად, უძრავ ნივთზე ფიზიკურ პირთა უფლებების რეგისტრაციის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოძიება, დაბადებისა და გარდაცვალების შესახებ სამოქალაქო აქტების მოძიება და სხვ.

დეტალური ინფორმაცია ა(ა)იპ-ების ფუნქციების დუბლირებებზე წარმოდგენილია დანართში №2.

⁴⁷ პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ღონისძიებები არ ჩატარებულა, ვინაიდან 2019 წელს მიმდინარეობდა რეორგანიზაციის პროცესი, ხოლო 2020 წელს ხელშეშლელი ფაქტორი იყო კოვიდ-19-ის პანდემია.

⁴⁸ 2019 წელი - 129.6 ათასი ლარი; 2020 წელი - 151,9 ათასი ლარი.

⁴⁹ წარმართავდა სხვადასხვა ისეთ საქმიანობას, რომელიც დუბლირებული იყო სახელმწიფო და მუნიციპალური სამსახურების ფუნქციებთან.

⁵⁰ წარმართავდა უფასო სასადილოს მომსახურებას.

- ქ) 2019 წელს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ – ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო ცენტრის რეორგანიზაციის შედეგად დაფუძნდა 4 ა(ა)იპ:
- ✓ ა(ა)იპ – ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრი;
 - ✓ ა(ა)იპ – ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრი;
 - ✓ ა(ა)იპ – ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზი;
 - ✓ ა(ა)იპ – ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებელი.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს ა(ა)იპ-ის წლიური საკასო ხარჯი შეადგენდა 488.0 ათას ლარს, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა – 131 ერთეულს. რეორგანიზაციის შემდეგ 2020 წელს საკასო ხარჯმა შეადგინა 707.3 ათასი ლარი (219.3 ათასი ლარით მეტი), დასაქმებულთა რაოდენობამ კი 140 ერთეული (9 ერთეულით მეტი). მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელმა პირებმა ვერ დაასაბუთეს, რა აუცილებლობით იყო გამოწვეული იურიდიული პირის 4 დამოუკიდებელ ერთეულად დაყოფა და რამდენად პასუხობდა მუნიციპალიტეტის მიზნებს განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგები.

დასკვნა

2019-2020 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ ა(ა)იპ-ში განხორციელებული რეორგანიზაცია არაეფექტიანი იყო და არ ემსახურებოდა საქმიანობის გაუმჯობესებას. კერძოდ, დაუსაბუთებლად გაზრდილია საშტატო რიცხოვნობა და საბიუჯეტო დაფინანსება. რომელსაც შედეგი არ მოჰყოლია. გარდა ამისა, ზოგიერთი სუბიექტისა და დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები დუბლირებულია ან მოსამსახურეები პრაქტიკულად არ არიან დატვირთულნი.

რეკომენდაცია N3

მერიამ, საკრებულოსთან ერთად შეისწავლოს დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობა და არსებული საკადრო პოლიტიკა; განსაზღვროს, რამდენად პასუხობს მათი საქმიანობა მუნიციპალიტეტის მიზნებსა და ამოცანებს. აგრეთვე მნიშვნელოვანია გაანალიზდეს ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და მათზე დახარჯული სახსრების შესაბამისობა. საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს თანამშრომელთა ფუნქციური დატვირთვა ან საშტატო ერთეულების ოპტიმიზაცია, რაც ხელს შეუწყობს საბიუჯეტო რესურსების ეკონომიურად და რაციონალურად ხარჯვას.

2.5 წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

2.5.1 სატრანსპორტო საშუალებების საწვავით

კრიტერიუმი: საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით,⁵¹ 2019-2020 წლებში მუნიციპალიტეტისათვის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად რეკომენდებული იყო 6 სამორიგეო ავტომანქანა. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეთხოვათ მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის თაობაზე მიეღოთ ნორმატიული აქტი, დადგენილებით განსაზღვრული წესისა და პრინციპების შესაბამისად.⁵²

⁵¹ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება.

⁵² 2019 წლის 12 ივნისის რედაქციით.

გამართვისას არსებული ხარვეზები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო პრიორიტეტულად მიიჩნევს საწვავით გამართვა განხორციელდეს აგაი სისტემის⁵³ გამოყენებით, ვინაიდან სხვა საშუალებები ვერ უზრუნველყოფს საწვავის ხარჯვაზე სათანადო კონტროლს.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტს არ აქვს მიღებული ნორმატიული აქტი მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის თაობაზე. საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტი თვითმმართველობებისათვის სარეკომენდაციო ხასიათისაა, თუმცა საბიუჯეტო სახსრების რაციონალური და გონივრული ხარჯვის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მისი შესრულება.

2019-2020 წლებში მუნიციპალიტეტში სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა რეკომენდებულ ზღვრულ რაოდენობას. კერძოდ, მუნიციპალიტეტი სარგებლობდა ბალანსზე რიცხული 4 სამორიგეო ავტოსატრანსპორტო საშუალებით. საკუთარი ავტომანქანების გარდა, მუნიციპალიტეტი 2019 წელს საწვავს გასცემდა თანამშრომლების პირად საკუთრებაში არსებულ 26 ავტომანქანაზე, ხოლო 2020 წელს – 31 ავტომანქანაზე. წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, 2019-2020 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ გაიხარჯა 106.4 ტონა საწვავი. აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა ავტომობილებზე საწვავის ხარჯვის დოკუმენტაცია, მათ შორის, აგაი სისტემის მონაცემები.

საჯარო მოსამსახურეებზე გამოყოფილი საწვავის ყოველდღიური ხარჯვის პროცესის შესწავლისას გამოვლინდა, რომ 2019 წელს – 170, ხოლო 2020 წელს 160-ზე მეტ შემთხვევაში, საჯარო მოსამსახურეებმა 9,500 ლიტრზე მეტი საწვავი⁵⁴ ჩასხეს სხვადასხვა მიმართულებით გადაადგილებისას (თბილისი, გორი, ქუთაისი, ბათუმი და სხვ.). მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, რამდენად უკავშირდებოდა აღნიშნული საწვავის გამოყენება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას (დანართი №3).

საკითხის შესწავლისას ასევე გამოვლინდა 27 შემთხვევა, როდესაც ავტორიზებულ⁵⁵ ავტომანქანებზე ერთჯერადად ან დროის მცირე ინტერვალებით ჩასხმული საწვავის მოცულობა აღემატება ავტომანქანის ავზის მოცულობას. აღნიშნული შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც აგაი სისტემის ჩიპი მყარად არ არის დამაგრებული ავტომანქანაზე და შესაძლებელია მისი მეშვეობით სხვა არაავტორიზებული მანქანის გამართვაც. აღნიშნული გარემოება წარმოშობს რისკს, რომ საწვავი გამოიყენებოდა არასამსახურებრივი დანიშნულებით (იხ. დანართები: N4 და N5).

დასკვნა

მუნიციპალიტეტს არ აქვს მიღებული საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ნორმატიული აქტი მუნიციპალური

⁵³ აგაი სისტემა – სისტემა/საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს ავტოგასამართი სადგურის პისტოლეტისა და ავტორიზებული ავტომანქანის საწვავის ავზის ერთმანეთთან დაკავშირებას და იდენტიფიცირებას და, შედეგად, უზრუნველყოფს მიმწოდებლის ავტოგასამართ სადგურზე საწვავის ჩასხმას მხოლოდ ავტორიზებული ავტომანქანის საწვავის ავზში.

⁵⁴ კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გახარჯული საწვავის მონაცემები აღებულია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ავტოგასამართ სადგურებში ჩასხმული საწვავის გამოკლებით.

⁵⁵ ავტორიზებული ავტომანქანა არის შემსყიდველის ავტომანქანა, რომელშიც მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საწვავის ჩასხმა.

ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის თაობაზე. მუნიციპალიტეტის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა აღემატება დადგენილებით რეკომენდებულ ზღვრულ ოდენობას. ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიერ საწვავის ხარჯვის პროცესში არსებული კონტროლის მექანიზმები სრულად ვერ უზრუნველყოფს საწვავის მიზნობრივი ხარჯვის ეფექტიან კონტროლს. ასევე აგაი სისტემის არსებული მეთოდით გამოყენება, მათ შორის, ავტომობილის ავზიდან დამაგრებული „ჩიპის“ მოხსნისა და გადაადგილების შესაძლებლობა, ერთჯერადად ავტომობილების ავზის მოცულობაზე მეტი ოდენობით საწვავის ჩასხმის ფაქტები, წარმოშობს არასამსახურებრივი ავტომობილების საწვავით გამართვის რისკებს.

რეკომენდაცია N4

მუნიციპალიტეტის საკრებულომ მერიასთან შეთანხმებით შეიმუშაოს წესი, რითაც დარეგულირდება სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო სამორიგეო ავტომანქანების რაოდენობა და განისაზღვრება საწვავის ხარჯვის კონტროლის მექანიზმები. საწვავის არამიზნობრივად ხარჯვის პრევენციის მიზნით მიზანშეწონილია, მერიამ დანერგოს კონტროლის დამატებითი მექანიზმ(ებ)ი და შეიმუშაოს სათანადო პროცედურები, მათ შორის, ალტერნატიულ პროცედურად შესაძლოა განხილულ იქნეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ინვენტარიზაციისას უფლებამოსილი პირების მიერ, დამონტაჟებული საწვავის „ჩიპების“ მთლიანობის შემოწმება; სამორიგეო ავტომობილების სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების მონიტორინგის მიზნით, კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, ასევე შესაძლოა, განხილულ იქნეს სატელიტური (GPS) ან სხვა სახის ელექტრონული კონტროლის სისტემის დანერგვა.

2.5.2 საკრებულოს წევრებზე დასაბუთების გარეშე გაწეული ხარჯები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრი, გარდა თანამდებობის პირისა, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად,⁵⁶ მას შეიძლება აუნაზღაურდეს უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორცაა, საკრებულოსა და კომისიის სხდომების, დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობის მიღების, ამომრჩეველთან შეხვედრების, ასევე საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის ცალკეული დავალების შესრულებისათვის საჭირო ხარჯები.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,⁵⁷ ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტია პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, სადაც აღინიშნება დოკუმენტის დასახელება, შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ფასი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა

⁵⁶ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 41.

⁵⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერს №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ინსტრუქცია ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 5.

დასახელება, დოკუმენტის სწორად გაფორმებისათვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა მონაცემები.

ფაქტობრივი გარემოება: 2019-2020 წლებში მუნიციპალიტეტში საკრებულოს არაანაზღაურებადი წევრების ხარჯები გაიცემოდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული დადგენილებით,⁵⁸ რომლის შესაბამისად, უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გაწეული ხარჯების ანაზღაურების ყოველთვიურ ოდენობად განისაზღვრა ზღვრული მოცულობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს მაქსიმალური ოდენობის 15%-ს.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საკრებულოს წევრებს (არათანამდებობის პირები), 2019-2020 წლებში, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების სახით, სულ მიღებული აქვთ 55.6 ათასი ლარი.⁵⁹

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, საკრებულოს არათანამდებობის პირებს ეძლევათ არა ფიქსირებული გასამრჯელო, არამედ უნაზღაურდებათ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები. შესაბამისად, თანხის გაცემის საფუძველი უნდა იყოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულებები საკრებულოს წევრების ხარჯების დასადასტურებლად. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ საკრებულოს წევრებზე თანხების გაცემა ვერ ჩაითვლება წარმოშობილი ხარჯების ანაზღაურებად, რადგან საფუძვლად არ უდევს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამასთანავე, საკრებულოს წევრებზე ძირითადად ანაზღაურებულია დადგენილებით განსაზღვრული მაქსიმალური თანხები, რაც მიანიშნებს დაუსაბუთებლად თანხების გაცემაზე.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა (შესაბამისი პასუხისმგებელი პირები) 2019-2020 წლებში საკრებულოს არათანამდებობის პირებზე ხარჯების ასანაზღაურებლად 55.6 ათასი ლარი გასცა სათანადო დადასტურების გარეშე, საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

2.6 შიდა კონტროლის სისტემა

2.6.1 შიდა აუდიტის საქმიანობის ხარვეზები

კრიტერიუმი: შიდა აუდიტის სამსახური ეხმარება მუნიციპალიტეტს იმ პოლიტიკისა და პროცედურების განხორციელებაში, რომლებიც განსაზღვრა ხელმძღვანელობამ მოწესრიგებული და ეფექტიანი მართვისათვის. შიდა აუდიტის სამსახურის მიზანია ორგანიზაციაში არსებული სისტემების, პროცესების, შიდა კონტროლის მექანიზმების შესწავლა და მათი ფუნქციონირების შემოწმება. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია სამსახურმა შეისწავლოს მერიის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა, შეაფასოს შეესაბამება თუ არა მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაგეგმილ მიზნებსა და ამოცანებს, რამდენად კანონიერად, მიზნობრივად და ეფექტიანად გამოიყენება

⁵⁸ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 იანვრის №3/4 დადგენილება.

⁵⁹ 2019 წელს - 24.7 ათასი ლარი, ხოლო 2020 წელს - 30.9 ათასი ლარი.

დაფინანსება, დანერგილია თუ არა ადეკვატური მართვისა და კონტროლის მექანიზმები და სხვ.⁶⁰

შიდა აუდიტის სამსახურის უპირველესი ფუნქციაა სისტემური ხარვეზების შესწავლა და მათ გაუმჯობესებაზე ორიენტირებული რეკომენდაციების შემუშავება. ორგანიზაციის ხელმძღვანელი, თავის მხრივ, ვალდებულია გაითვალისწინოს შიდა აუდიტის ანგარიშში ასახული რეკომენდაციები და უზრუნველყოს მისი დროული შესრულება.⁶¹

ფაქტობრივი გარემოება: 2019-2020 წლებში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ ჩატარდა 8 აუდიტორული შემოწმება.⁶² წარმოდგენილი მონაცემებით, შიდა აუდიტის სამსახურის მიერ შემოწმებულია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ერთი შპს,⁶³ ხუთი ა(ა)იპ⁶⁴ და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის 2018 წლის საქმიანობა.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტების შედეგად, ძირითადად გამოვლენილია სხვადასხვა სახის კონკრეტული დარღვევა-ნაკლოვანება, რომლის გამოსწორების მიზნით გაცემულია რეკომენდაციები. 2019-2020 წლებში სამსახურის მიერ ჩატარებულია რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგიც. შედეგების მიხედვით, სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი შესრულებულია,⁶⁵ ნაწილზე კი რეაგირება საერთოდ არ განხორციელებულა.

აუდიტის პერიოდში, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურს შესწავლილი აქვს მერიის მხოლოდ ერთი სამსახურის საქმიანობა, ასევე არ განუხორციელებია წინასწარი შესწავლისა და რისკის შეფასების სათანადო პროცედურები, რომელთა საფუძველზე, სამსახურს უნდა გამოეკლინა სისტემური დარღვევა-ნაკლოვანებები და შეემუშავებინა ამ ხარვეზების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული რეკომენდაციები.

დასკვნა

შიდა აუდიტის სამსახურს სათანადოდ არ შეუსწავლია ორგანიზაციაში არსებული პროცესები და შიდა კონტროლის სისტემები, არ გამოუვლენია სისტემური ხასიათის რისკები და მათი აღმოფხვრის მიზნით, არ გაუცია სათანადო რეკომენდაციები. შიდა აუდიტის სამსახურმა ვერ უზრუნველყო მერიის საქმიანობის გაუმჯობესება, ფინანსების რაციონალური მართვისა და ორგანიზაციის ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობა.

⁶⁰ საქართველოს კანონი სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ, მუხლი 18.

⁶¹ საქართველოს კანონი სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ, 15.

⁶² 2019 წელს შემოწმდა 4 ა(ა)იპ და 1 შპს; 2020 წელს შემოწმდა 2 ა(ა)იპ და მერიის 1 სტრუქტურული ერთეული.

⁶³ შპს „ფოთიქალაქტრანსპორტი“.

⁶⁴ ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება ფოთის რაგბის სასპორტო სკოლა შემოწმდა ორივე წელს, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საფუძველზე.

⁶⁵ 2019 წელს გაცემული 30 რეკომენდაციიდან შესრულებულია - 25, 1 შესრულებულია ნაწილობრივ და 4 არ შესრულებულა; 2020 წელს გაცემული 13 რეკომენდაციიდან შესრულებულია 11.

რეკომენდაცია №5

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის იმგვარი წარმართვა, რომელიც შეისწავლის და შეაფასებს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემებს, ასევე პროცესებში არსებული რისკებისა და სისტემური ხარვეზების გამოვლენას. მიღებული შედეგების საფუძველზე, სამსახურმა შეიმუშაოს რეკომენდაციები და განახორციელოს მისი მუდმივი მონიტორინგი. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდასა და საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.

2.7 წინა პერიოდის აუდიტი

2.7.1 წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების მდგომარეობა

ფაქტობრივი გარემოება: სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ფოთის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის ობიექტმა გაატარა ღონისძიებები და წარმოადგინა ინფორმაცია წინა აუდიტის ანგარიშში ასახული ზოგიერთი ხარვეზის გამოსწორების შესახებ. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა არ განახორციელა სათანადო რეაგირება და განმეორებით დაუშვა ზოგიერთი დარღვევა, რომელიც აღწერილია აუდიტის ანგარიშში, კერძოდ:

- 1) გამოვლინდა უხარისხოდ შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომელთა საგარანტიო ვადა ამოწურული არ იყო;
- 2) მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ზოგიერთი იურიდიული პირები კვლავ არ ახორციელებენ წესდებით განსაზღვრულ საქმიანობას, ასევე მათი ფუნქციები დუბლირებულია სხვა უწყებების საქმიანობასთან;
- 3) მუნიციპალიტეტმა საკრებულოს არათანამდებობის პირების ხარჯები აანაზღაურა საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

აუდიტორები

ხელმოწერა


ბადრი ჯანჯღავა
მთავარი აუდიტორი

ირმა ხეცურიანი
უფროსი აუდიტორი

პაატა კუბლაშვილი
აუდიტორი

ანი ყიფიანი
უფროსი აუდიტორ-ასისტენტი

ქეთევან მაჩაიძე
აუდიტორ-ასისტენტი



დანართები

დანართი №1.

2019-2020 წლებში ფოთის მუნიციპალიტეტში მოწყობილი ინფრასტრუქტურული პროექტებიდან დაზიანებული ობიექტები

№	NAT/CMR	პროექტის დასახელება	გადახდა (ათასი ლარი)	საბოლოო მიღება-ჩაბარების წელი	დაზიანებები
1	NAT190004326	ქ. ფოთში, ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრის რეაბილიტაცია	774.8	2020	რეაბილიტირებული შენობის შიდა სივრცეში კედლებზე, ჭერსა და იატაკზე აღინიშნება მრავალი დაზიანებება სახურავიდან წვიმის წყლის ჩამოსვლისა და ნესტის ზემოქმედების შედეგად. შენობაში შესასვლელი კიბის გრანიტის ფილების ნაწილი ჩამოცვენილია.
2	NAT190002338	კოსტავას ქუჩის ტროტუარის კეთილმოწყობის სამუშაოები	329.1	2020	ქუჩებზე მოწყობილი ტროტუარის ფილები 5-ზე მეტ ადგილას ამოცვენილი ან ჩავარდნილია.
3	NAT200013916	მზარეულის ქუჩა № 42	24.9	2020	საცხოვრებელ სახლებში ჩამოდის წყალი.
4	NAT200013914	ჯიქიას ქუჩა № 9	46.6	2020	საცხოვრებელ სახლებში ჩამოდის წყალი.
5	NAT200013914	9 აპრილის ხეივანი № 12	29.2	2020	საცხოვრებელ სახლებში ჩამოდის წყალი.
6	NAT190025658	ჭავჭავაძის ქუჩა № 144; დავით აღმაშენებლის ქუჩა №3ა	76.2	2019	საცხოვრებელ სახლებში ჩამოდის წყალი.
7	NAT190025648	დანელიას ქუჩა №72; 9 აპრილის ხეივანი №33; ერეკლე II-ის ქუჩა N 30	41.6	2019	საცხოვრებელ სახლებში ჩამოდის წყალი.
8	NAT190000891	აღმაშენებლის ქუჩა №31	76.4	2019	საცხოვრებელ სახლებში ჩამოდის წყალი.
9	NAT190002348	გურიის ქუჩა №183	28.5	2019	საცხოვრებელ სახლებში ჩამოდის წყალი.
10	NAT200004657	დავით აღმაშენებლის ქუჩა №14, № 16	178.0	2020	საცხოვრებელ სახლებში ჩამოდის წყალი.
სულ:			1,605.3		

დანართი №2.

ა(ა)იპ – ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების ცენტრის ფუნქციები და დუბლირებები

წესდებით განსაზღვრული ფუნქციები	განმახორციელებელი ორგანიზაცია
ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მიმდინარეობის წარდგენა	მუნიციპალიტეტი
ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის კავშირის უზრუნველყოფა მერიასა და საკრებულოსთან	მუნიციპალიტეტი
ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენაში მონაწილეობის მიღება	მუნიციპალიტეტი
მოსახლეობის რაოდენობის დათვლა, მათი დასაქმებისა და მიგრაციის შესახებ ინფორმაციის მოძიება, წვევამდელთა აღრიცხვა	საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი; მერიის სამხედრო აღრიცხვის სამსახური
უძრავ ნივთზე ფიზიკურ პირთა უფლებების რეგისტრაციის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოძიება, დაბადებისა და გარდაცვალების შესახებ სამოქალაქო აქტების მოძიება	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, იუსტიციის სახლი
ჩასახლებული ეკომიგრანტების, დევნილების რაოდენობისა და მათი საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესწავლა	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
მოსახლეობის ელექტროენერგიით, გაზით, შეშითა და სასმელი წყლით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესწავლა	მერიის სოციალური სამსახური
სოციალური და ინფრასტრუქტურული ობიექტების მდგომარეობის და მათ სარეაბილიტაციოდ გასატარებელი ღონისძიებების შესწავლა	მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური
სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციების შესწავლა	მერიის სოციალური სამსახური

დანართი №3.

2019-2020 წლებში ქალაქურთ ავტომანქანების საწვავით გამართვის მაგალითები:

სახელმწიფო ნომერი	ჩასხმის თარიღი	ჩასხმის დრო	ლიტრი	სადგურის სახელი
BT543TB	09.01.2019	16:07	40	Didube
	10.04.2019	16:46	20	Samtredia
DD070EE	04.08.2019	11:42	20	Senaki
	02.12.2019	12:04	20	Dighomi-2
NN224CC	17.07.2019	21:01	14	Khashuri
	13.10.2019	17:25	20	Gelovani 2
DD389DO	10.08.2020	14:15	9	Kutaisi 1
	19.12.2020	13:44	30	Makhinjauri
LT100LT	14.01.2020	13:24	21	Telavi
	03.09.2020	13:16	48	Kavtaradze
NN224CC	31.05.2020	19:23	12	Batumi-4
	07.11.2020	13:52	10	Lilo 2

დანართი №4.

2019-2020 წლებში ავტომობილებში ავზის მოცულობაზე ერთჯერადად მეტი ოდენობით ჩასხმის მაგალითები:

სახელმწიფო ნომერი	ავზის მოცულობა	ერთჯერადად ჩასხმული ლიტრის რაოდენობა	სხვაობა (მეტობით ლიტრის ჩასხმა)	ჩასხმის თარიღი	დრო
BT010TB	75	82	7	04.01.2019	10:10
BT543TB	40	50	10	01.02.2019	19:47
GI212GI	65	74	9	16.05.2019	17:42
GG004AA	60	100	40	08.11.2019	09:42
UU466UV	55	60	5	02.03.2020	19:30
GG004AA	60	75	15	01.07.2020	16:20
SU008RM	50	54	4	01.08.2020	22:37
PS099SP	70	80	10	16.11.2020	08:34
GG004AA	60	75	15	01.07.2020	16:20

დანართი №5.

საწვავის ჩასხმის ჯერადობები:

მანქანის სახელმწიფო ნომერი	ჩასხმის თარიღი	ჩასხმის დრო	ჩასხმული საწვავი (ლიტრი)	სულ (ლიტრი)	ავზის ტევადობა (ლიტრი)
BT543TB	09.01.2019	16:07	40	50	40
		16:09	10		
BOG-900	01.07.2019	09:20	36	76	50
		10:01	40		
PS099SP	20.05.2019	21:58	15	80	70
		22:00	65		
	21.09.2019	17:47	42	82	
		17:49	40		
	31.12.2019	14:13	20	134	
		14:17	49		
		14:37	37		
		14:57	28		
AA540DD	01.12.2020	11:45	40	50	40
		11:48	10		
GU710UG	01.12.2020	17:26	61	81	70
		17:39	20		
BO900GD	06.01.2020	19:21	40	60	50
		19:24	20		
	01.05.2020	09:59	20	59	
		10:22	39		
	01.06.2020	09:14	33	53	
		09:29	20		
	08.08.2020	11:28	20	59	
		11:36	39		
	02.12.2020	12:43	20	78	
		12:44	2		
		13:06	20		
		13:21	36		

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE